საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბეშლა

აბეშლა, აბეშლაია, ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I-ის (ძვ. წ. 1115–1077) წარწერებში ურუმაელებთან ერთად მოხსენიებული ტომები „ხეთების ქვეყნის ხალხი“.

მათი განსახლების ზუსტი ადგილმდებარეობა უცნობია. ბინადრობდნენ აღმ. მცირე აზიაში, ურუმაელების მეზობლად. მათ ძალით მიიტაცეს სუბართუს (ჩრდ. შუამდინარეთი) ზოგიერთი დასახლება. იმავე წარწერებში ა. არის სინონიმი ტერმინისა „ქაშქაია“ („ქაშქა“), რ-იც ხეთური ლურსმული წყაროების „ქასქას“ („გასგას“) იდენტურია. ა-ს ზოგიერთი მკვლევარი უკავშირებს მოგვიანო ხანის აფშილების (აფსილების) სახელწოდებას.

ლიტ.: М е л и к и ш в и л и Г. А., Древневосточные материалы по истории народов Закавказья, ч. 1-Наири-Урарту, Тб., 1954; მ ი ს ი ვ ე , К истории древней Грузии, Тб., 1959.

გ. გიორგაძე